



პერფორმანსი „ვარ მე შენ?“, მიროზაანი, 1998

არტისტერიუმი VI  
4-14 ოქტომბერი, 2013 წელი  
თბილისი, საქართველო

### „ვარ მე შენ?“

„ერთადერთი განსხვავება ჩვენს შორის ჩვენი არჩევანია“  
უცნობი ავტორი

არტისტერიუმი VI, თანამედროვე ხელოვნების ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა და სახელოვნებო ღონისძიებების სერიაა, რომელიც 2013 წელს თბილისში 4 ოქტომბერს გაიხსნება და 14 ოქტომბრამდე გასტანს. „არტისტერიუმი“ განვითარებადი სახელოვნებო პლატფორმაა, რომლის მთავარი თემა, როგორც წესი, თანადროულ, აქტუალურ სოციო-კულტურულ პრობლემატიკას ეხმაურება და განვითარების ალტერნატიულ გზებს ეძებს.

2008 - „Modus Operandi“ - განსხვავებული გზის ძიებაში“; 2009 - „ცვლილებების მანიფესტი და შინაგანი გამოცდილება“; 2010 - „წარმოიდგინე მომავალი“; 2011 - „თავისუფალი ვარდნა“; 2012 - „პროტესტი, რომელიც არასდროს მთავრდება“ - ბოლო 5 წლის მანძილზე „არტისტერიუმის“ ფარგლებში წარმოდგენილი თემატური გამოფენებია.

2013 წლის მე-6 არტისტერიუმის თემაა: „ვარ მე შენ?“.

განსხვავებულის, უჩვეულოს, გაუგებრის მიღება-არმიღება დღევანდელი მნიშვნელოვანი პრობლემაა. უამრავი ფილოსოფიური, სოციალური თუ ფსიქოლოგიური თეორია აღწერს ჩვენს დამოკიდებულებას ეროვნებების, რელიგიების უმცირესობების, განსხვავებულად მოაზროვნეთა, გვერდით მყოფი ადამიანის - „სხვის“ მიმართ. როგორც ჟაკ დერიდა ამბობს: „სხვას ვერასოდეს გაიგებ როგორც თანყოფნას (presence).... „სხვას“ ყოველგვარი კავშირი აქვს გაწყვეტილი თანყოფნის ფენომენოლოგიურ მეტაფიზიკასთან - „სხვას“ ვერასოდეს გაიგებ თეორიულ აქტში; ეს მხოლოდ ეთიკური პასუხისმგებლობის მეშვეობითაა შესაძლებელი: მე ვიღებ პასუხისმგებლობას სხვაზე“.

ეთიკური პასუხისმგებლობის აღების სირთულე და ხშირ შემთხვევაში შეუძლებლობა ხშირად ხდება კულტურული გაუცხოების, რელიგიური, ტერიტორიული თუ პირადი კონფლიქტების მიზეზი.

სახელწოდების ინსპირაციის წყარო ქართველი მხატვრის, ილია ზაუტაშვილის 1998 წლის პერფორმანსი „ვარ მე შენ?“ გახდა. პერფორმანსის ოთხი მონაწილე 2 წყვილადაა გაყოფილი, რომლებიც ერთმანეთის „გაგებას“ ცდილობენ, მაგრამ წინააღმდეგობებს აწყდებიან. პირველ წყვილს თვალები აქვთ ახვეული და ერთმანეთს ეხებიან, მეორე წყვილი კი სხვადასხვა ენაზე დაწერილ წიგნს ხმამაღლა, ერთდროულად კითხულობს. ნამუშევარი აჩვენებს კომუნიკაციის სირთულეს, როცა მხოლოდ საკუთარ ენაზე, სიტყვების ფორმალურობაზე და კულტურულ ან ქცევით (behavioral) სტერეოტიპებზე ხარ კონცენტრირებული, ან როდესაც სუბიექტის მიღება-არმიღება წინასწარგანწყობით შემოიფარგლება.

არტისტერიუმის 2013 და მისი თემა „ვარ მე შენ?“ მონაწილეებს თავაზობს „სხვისი“, როგორც ფენომენის კვლევას და ჩვენი დამოკიდებულების და პასუხისმგებლობის ეკოლოგიას „სხვის“ მიმართ. გამოფენის მიზანი თუნდაც მიუღებელ იდეოლოგიასთან ან ცხოვრების წესთან თანაარსებობის გზების ძიება და თანაგრძნობის შესაძლებლობაა. წლებადელი თემა იმ გავლენების აღმოჩენის საშუალებასაც იძლევა, რომელიც აყალიბებს ჩვენს დამოკიდებულებას გარშემო არსებულ მრავალფეროვანი ნააზრევისა თუ დამოკიდებულების, თუნდაც სიცოცხლის სხვა ფორმების მიმართ, რომლებიც ჩვენს გვერდით ამ პლანეტაზე არსებობენ.

მაგდა გურული  
არტისტერიუმის კურატორი  
[www.artisterium.org](http://www.artisterium.org)